თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2267395

ნომერი: AR1351291

თარიღი : 23.10.2015

გაცემის თარიღი : 30.10.2015

გაცნობის თარიღი : 30.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , უნივერსიტეტის ქუჩა ნაკვ. N8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ნანობაშვილი პ/ნ 01009000478
- თბილისი ო.ლორთქიფანიძის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1351291 განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით უნივერსიტეტის ქუჩა ნაკვ. N8 - ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მიმდინარე მშენებლობას და ითხოვთ წარმოების დაწყების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 24 ოქტომბრის AR1351593 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე გიორგი რაზმაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა ნაკვ. N8–ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.03.042.025) ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2015 წლის 16 სექტემბრის №2193120 ბრძანებით შეთანხმებულია კორექტირებული არქიტექტურული პროექტი ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა ნაკვ. N8–ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.03.042.025), გასართობი ცენტრისათვის. ხოლო 2015 წლის 01 ოქტომბრის №2212471 ბრძანებით გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, მათი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ვინაიდან ნებართვა სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე, ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში მიუთითოთ #AR1340114, #AR1342414, AR1351593 განაცხადის ნომრები.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით, ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითებთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი.